

საქართველო

პროვნიული თავისუფლების ზრით - პროვნიული თავისუფლებისაჰნი
პროვნიული თავისუფლების ზრით - პროვნიული თავისუფლებისაჰნი

პროვნიული
ნივლითი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ორშაბათს და ხუთშაბათს

№1 (1630)


7-9 იანვარი 1998 წ.

ფასი 50 თეთრი

ორი წერილი ორ პრეზიდენტზე



მედიაციის
მედიაციის



მედიაციის
მედიაციის

საიმი გაშინდეს
შეპარდნაჰის
თხითიშინდეს

გულისხმა
ჰყავთ
ესე!


დემურ მიქაძე:
**მა სახალხოოდ
გაგლანდეს!
მინდა ერთხელ
და სამუდამოდ
ყველა ფერი
გაიკრკვეს**
მესამე გვერდი



პარლამენტის ღირსების საქმე
**ღია წერილი საქართველოს
პარლამენტის ყველა წევრს**
მეოთხე გვერდი

1992 წლის 7 იანვარი • რეპორტი

6 იანვარი. თბილისის ქუჩებში ჭერ კიდევ ხიხლი იღვრება. მედროვენი კი დროს არ კარგავენ.




ნახ. რიშან მარტოაშვილი

სამი პარტია, კანონი და - უკეთესი!

პირველი და აუცილებელი პირობა გახლავთ სინდის-ნამუსზე ხელის აღება, ამის შემდეგ ყველაფერი იოლად ხერხდება.

კერძოდ - გულმოდგინედ უნდა ვემსახუროთ იმ რეჟიმს, იმ ხელისუფლებას, რომლის ქვეშევრდომნიც ვართ.
როდესაც დავატყობთ, რომ არსებულ ხელისუფლებას დიდი დღე აღარ უწერია, უნდა გავიტრუნოთ, მოვლენებს ზემოდან ჭკვიანი კაცის პოზით გადმოვხედოთ და მხრებანურულმა ვინაობით - ეს რა ხდება, ესენი ვინ არიან, დუბავენ ქვეყანას, - ოღონდ არ დაგავიწყდეთ, ეს ისე უნდა ვთქვათ, რომ ხელისუფლებას საზღვრისას ოპოზიცია იგულისხმებოდეს, ოპოზიციის წარმომად-

გენელთან საზღვრისას კი - ხელისუფლება. რაც მთავარია, უნდა მოერიდოთ პრაქტიკულ მოქმედებას.
ამ უკანასკნელზე გადასვლა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როცა დარწმუნდებით, რომ არსებული რეჟიმი ნამდვილად მოკვდა, რომ ხელისუფლება უკვე მართლა აღარ არსებობს!
აი, ამის შემდეგ თამამად შეგიძლიათ გვარიანი ჭიტ-ლაყი უთავაზოთ ყოფილ ხელისუფალთ, მაგრამ თქვენი
გაბრძენლება გმ-2 გვ.



1992 წლის 7 იანვარი

რეპორაჟი

ქურნალისტაბი

სამხედრო საბჭოში



საუბრობენ პატრონები:

ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიბროვანი

7 იანვრის პრეს-კონფერენციიდან.

კითხვა: ვინ გასცა დღეს განკარგულება დემონსტრაციის დაშლის შესახებ?

ჯაბა იოსელიანი: მე ვბრძანე და ამას გაუაკეთებთ ხედავ, ზეგაც, რადგან ჩვენ გამოუცხადეთ საკომენდანტო საათი. ჩვენ დაეყენეთ მხოლოდ მინიმალური მოთხოვნა - არ უნდა ჩატარდეს მიტინგები და დემონსტრაციები, რადგან ქალაქში ჯერ კიდევ საომარი მდგომარეობაა, მიმდინარეობს სროლები; უნდა შეწყდეს ქუჩებში მოძრაობა 23 საათიდან 6 საათამდე და ეს ის დროა, როცა ხალხს სძინავს. სხვა არავითარი აკრძალვა ჩვენ არ გაგიკეთებია. ნამდვილად არ უნდა მოხდეს ხალხის ქუჩებში შეკრება. ამას პროოკაციულად იყენებენ ის ქალები, რომლებსაც „შავ კოლგოტკებს“ ან „გამსახურდიას ბეტყერებს“ ეძახიან, რომლებმაც მოახდინეს თითქმის ყველა ექსცესის პროვოცირება.

მსოფლიოში არსად არ მომხდარა, როცა მოშიშნულეს, რომელსაც აქვს გარკვეული პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოთხოვნა, შიმშილითვე დაპირისპირებოდეს ვინმე. ეს ქალები შიმშილობდნენ მოშიშნულეების წინააღმდეგ. ისინი ფაქტურად არ შიმშილობდნენ, მათ კვებავდნენ, მაგრამ არსებობდა დაპირისპირების ამგვარი ფორმა.

თქვენ იცით რა არის შტაიკბეხერი. გერმანიაში გაფიცების დროს სპეციალურად მიჰყავდათ ადამიანები, რომლებიც მუშაობდნენ, მაგრამ არსად მოშიშნულეებს შიმშილობით არავინ დაპირისპირებია. ეს ქალები საკმაოდ საშიში პროოკატორები არიან. მიუხედავად ამისა ხალხს აქვს უფლება

შევიდეს სპორტის სასახლეში, ფილარმონიაში და იქ ჩატაროს მიტინგი.

კითხვა: დემონსტრაციის დაშლის შედეგად არიან თუ არა დაჭრილები?

ჯ.ი. არა, დაჭრილები არ არიან. ისროდნენ სასწავლო ვაზნებით. ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ვიღაცამ საბრძოლო ვაზნებით გაისროლა, რადგან მას სასწავლო ვაზნები გაუთავდა.

კითხვა: რას გვეტყვი კულუმბეგოვის შესახებ?

ჯ.ი. კულუმბეგოვი ჯერ კიდევ იმყოფება საკონტროლო პუნქტში (ეზა) რადგან ჯერ არ გადაწყვეტილა ტრანსპორტის საკითხი. არ ვიცი, ჩვენდამი უნდობლობისა თუ რაიმე სხვა მიზეზის გამო მას უნდა სამხედრო თვითმფრინავით გაფრენა. ჩვენ კი ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ მოლაპარაკება სამხედროებთან. უურნაღისტებს აქვთ საშუალება თვითონ შეხვედნენ კულუმბეგოვს.

კითხვა: აქვს თუ არა სამხედრო საბჭოს სუვერენული სახელმწიფოების თანამშრომლობასთან ურთიერთობის რაიმე მიზნები?

ჯ.ი. ჩვენ არა ვართ უფლებამოსილი ამ საკითხის გადაწყვეტაში, ამ საკითხს გადაწყვეტს ახალი მთავრობა.

კითხვა: ქალაქის ცენტრში გამოჩნდა დიდძალი სამხედრო ტექნიკა. გქონდათ თუ არა დახმარება?

თენგიზ კიბროვანი: როცა არსებობს გეარდია, მას აქვს თავისი შეიარაღება.

კითხვა: დგანან თუ არა თქვენს პოზიციაზე უშიშროების კომიტეტი, „ომონი“ და მილიცია?

თ.კ. შემძლია ვთქვა, რომ უშიშროების კომიტეტი ოპოზიციის მხარეს იდგა. „ომონმა“ კი იგრძნო რა, რომ გამსახურდია შეიძლება გაქცეულიყო, გადმოვიდა ჩვენს მხარეს. აქვე ვიტყვი იმას, რომ საქართველოში ომონი აღარ იარსებებს.

კითხვა: გუშინ ტელევიზი-

ით გადაიკა ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა, სადაც მან სურვილი გამოხატა შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის და კრიზისის გამო დახმარებოდა საქართველოს. უკანასკნელი ცნობით მან შექმნა საქართველოსთვის დახმარების საერთაშორისო ფონდი. როგორ გეგახებათ მისი როლი არსებული კონფლიქტის მოგვარებაში?

თ.კ. მოხდა ისე, რომ ზეიად გამსახურდიამ მთელი მასები აამხედრა შევარდნაძის წინააღმდეგ. შევარდნაძე ქართველია. მას ჩვეულებრივად უყვარს სამშობლო და მას შეუძლია დაბრუნდეს თავის სამშობლოში.

ერთი რამ კი საფრთხილოა: გამსახურდია ჩვენ კრემლისა და შევარდნაძეს აგენტებს გვეძახდა. ის ამზადებდა ხალხს ჩვენს წინააღმდეგ.

კითხვა: სად იმყოფება ახლა ბატონი კაკო ასათიანი?

თ.კ. ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი ქართული სიმღერა შემიძლია მოვიშველიო: „სადა ხარ ჩემო სუელიკო...“

კითხვა: გქონდათ თუ არა რაიმე კონტაქტი საქართველოს კათალიკოსთან?

თ.კ. სხვათაშორის, ვიტყვი, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენ საქართველოს ტელე-რადიოდეპარტამენტის შენობასთან ვიდევით, მოვიდნენ საპატრიარქოს წარმომადგენლები და გეთხოვეს კათალიკოსის დაცვა, რადგან გამსახურდიას ცნობილი ქალები თავს დაესხნენ მის რეზიდენციას.

ჯ.ი. როცა გამსახურდია გაიქცა, მე მივედი კათალიკოსთან და ვესაუბრე მას. კათალიკოსმა მოგვიწოდა, რომ ჩვენ არ მოვაწყოთ ანგარიშსწორება, რომ ვიყოთ მიმტკეპლები მტრებისადმი.

მანვე გამოთქვა სურვილი, რომ დანგრეული მთავრობის

სახლის ადგილზე აშენდეს ეკლესია. ამ ადგილას ადრე ეკლესია იყო, რომელიც კომუნისტებმა დაანგრიეს და ააშენეს მთავრობის სასახლე. ოცდაჩვიდმეტში სწორედ ამ სისხლიან შენობაში ხდებოდა ყველა არაადამიანური გადაწყვეტილების მიღება. კათალიკოსმა ბრძანა, რომ მას აქვს ბებები და აქვს საშუალება, რომ ამ ადგილას ეკლესია აღსდგეს.

როდამტორისაბან: თბილისში მართალია კომუნისტების საათია გამოცხადებული, მაგრამ მშვიდობიანი მიტინგის იარაღით დარბაზს ვერ გავაშარტავთ კომუნისტების საათით, რამეთუ ერთი ქართველის სიცოცხლე უფრო ღირებულია, ვიდრე ნებისმიერი წეს-კანონი.

„სამართველო“ №1, 1992წ.

საბი კარბია, კასობა კი - უკათესი!

პირველი გვერდიდან
შემდგომი წარმატებების საფუძვლად მხოლოდ ეს აქტივერ იქცევა.
საჭიროა გავეშებო ული პირველი გამოიჭრეთ პრესით, რადიოთი ცანსაკუთრებით სასურველია გამოჩენა ტელეეკრანზე და საკუთარი პერსონა წარუდგინოთ ხალხს ძველი რეჟიმის მსხვერპლად. მტკიცედ უნდა ჩადგეთ ახალი ხელისუფლების სამსახურში, ამ ხელისუფლების ყავიცი რომ გავა, მექანიკურად უნდა გაიმეოროთ ის საქციელი, რომლის ჩადენის გამოცდილება უკვე გაქვთ და თქვენ კიდევ ერთი ახალი დროის ფუშედ იქცევით. ის, ვინც განსაკუთრებით ჭკვიანია, მორიდებულ ურთიერთობას არჩევს ერის პატიოსან,

არამედროვე წარმომადგენელთან, რათა დახვეწილი იყენ ყოველგვარი წამოძახებისაგან. რაც შეეხება თქვენს მსგავს მდგომარეობებს, მათთან შეგიძლიათ ნებისმიერი ურთიერთობა იქონიოთ - გნებავთ კარგი, გნებავთ ცუდი, ისინი საჯაროდ ვერაფერს წამოგახებენ, თუ ცოტა ჭკუა მინც გააჩნიათ, რადგან წამოძახილი ბუმერანგით დაუბრუნდებათ და ისინიც თქვენთან ერთად ამოსივრებიან ლაფში.
გარდა თანამდებობის პირთა ბიოგრაფიათა შესწავლისა, თუ გადახედავთ ქართულ ე.წ. ოფიციალურ პრესას, ამ ანალიზის უმჭველობაში ადვილად დარწმუნდებით.
აღბათ, ყველას გახსოვთ ურთიერთს გაჯიბრებული ავთანდილისა და როსტევის

პირობა, დამარცხებული თავშიშველი სამ დღეს ვლიდესო, რომ დათქვს კერძო საკითხში კი არა, სამშობლოს სამსახურში გამტყუნებული, დამარცხებული, იდეოლოგიურად და პოლიტიკურად გაკოტრებული ჩვენი მედროვენი, არათუ რამეს ინანიებენ და „თავშიშველი“ ვლიან, არამედ იტყულებენ ტვინს, როგორ მოექცნენ დინებას მალდა.
ასე ქნეს კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, ასე ქნეს „მრგვალი მაგიდის“ მმართველობის დამხობის შემდეგ საქ უნიჭო მედროვეებზეა ლაპარაკი და არა კვალი-ფიციტრებულ სპეციალისტებზე, რომელნიც ყოველ დროში ერთნაირად საჭირონი არიან).
ერთი სიტყვით, აღნიშნული ტიპის „მოღვაწეთ“ სკამი უნდათ ძალიან. ვერც გაამტყუნებ: სკამი, თანამდებობა, ურიგო რამ როდი გახლავთ, მაგრამ არც ეს დალოცვილი სინდისია წყალში გადასადგები.
ნოღარ თორელი
„სამართველო“ №1, 1992წ.



საქართველოს კომუნისტური პარტია

„ზვიად გამსახტაძის-უკლებლის“ პარტიის ლიდერს, ლეილა ცომიაის საქართველოს ამაჟინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება აქვს დაგეგმილი.

ცომია ბრძოლას „ჩვეულებრივი მშვიდობიანი მეთოდებით“ განაგრძობს, რომლებიც ეროვნულ-პატრიოტული ძალებისთვისაა დამახასიათებელი. გვა-ს კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში ცომია განაცხადა - „არაფრის მეშინია, შიში, როგორც ასეთი, ჩემთვის არ არსებობს.“

როგორც ცნობილია, ლეილა ცომია 24 სექტემბერს პოლიციის საცდანიშნულების რაზმის წევრებმა დააკავეს. ამ დღეს მას დაგეგმილი ჰქონდა მიტინგის ჩატარება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში. ცომიას ორი საბრძოლველი მუსიკალი წაუყენეს: საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და პოლიციის თანამშრომლებისთვის წინააღმდეგობის გაწევა. დეკემბრის ბოლოს პრეზიდენტის მიერ პატიმართა შეწყველების თაობაზე გამოცემული განკარგულების მიხედვით ცომია გაათავისუფლეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცომიამ განაცხადა, რომ არაფერი დაუშავებია და შესაბამისად შესაწყველებელი არაფერი სჭირს. მისი თქმით, იგი თავის მომხრეების ერთად განაგრძობს ბრძოლას სამართლიანობისა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, მოლაღატური, კაპიტულანტური ხელისუფლების გადაყენებისთვის.

ცომია დარწმუნებულია, რომ „მაქსიმალურად შეასუსტებს არსებულ რეჟიმს და წლის ბოლოსათვის მოხდება ამ ხელისუფლების იძულებით გადაყენება.“

ცომიამ გვა-ს კორესპონდენტს ასევე აცნობა, რომ მისი დაკავებისა და წინასწარი გამოძიების იზოლაციაში ყოფნისას მას მუდმივად აყენებდნენ მორალურ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. იმის მიუხედავად, რომ ცომიამ მოითხოვა მისთვის სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება, მისი თხოვნა არ დაუკმაყოფილებიათ. (გვა)

მნიშვნელოვანი ანგარიშები

როგორც გვა-ს კორესპონდენტს ცხინვალის აცნობეს, ახალი წლის დამესამხრეთ ოსეთის „ჩრდილოეთის“ მხარეში მოწყობილია მიტინგები და ცხინვალის დაპირებული ელექტროენერგია გამოუგზავნეს.

ეპროპა საქართველოში «ოსეთის» შექმნას არ მორიგის რეჟიმს!

პროვინციულ ანტიეროვნულ ფანატიზმს, რომელიც აგერ რამდენიმე წელიწადია საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის განმსაზღვრელია, ქამელიონით, მრავალი სახე აქვს. ადრე იყო, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა საქართველოს პრეზიდენტს ეროვნული უმცირესობის გენოციდის ბრალდება (ყაღბი ბრალდება) წამოუყენა, სამაგიეროდ მასობრივი მკვლელობის ორგანიზატორზე არძინაზე სანქცია არ გაცემულა და მას საშუალება ეძლევა საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთის სახელით ელაპარაკოს; დღესდღეობით მგერამ, იმედია, არა მომავალშიც საქართველოს უაქტიურესი მტრის - რუსეთის - აგრესია, რომლის ძალითაც აფხაზეთში დაემარცხდით, ოფიციალური დაფიქსირების გარეშეა დატოვებული: ჩვენი ქვეყანა არძინას ხროვის მიერ დამარცხებული ითვლება, რუსეთის ძალები კი ჩვენს ტერიტორიაზე დგანან და ჩვენს საზღვარს აკონტროლებენ; ასაკიანი ბანდა, რომელმაც გაუპატიურებელი მოკლა სტუდენტი გორონა ნ. (იგი სისხლის დენით გარდაიცვალა გზაში, როცა ერთკერიანი ტყვეობიდან დაიხსნეს და გორში წამოიყვანეს), არხენად დადის „რესპუბლიკად“ გამოცხადებული ცხინვალში და მისი ერთი საქონი, ცხადია, იარაღის კვლავ სახმარადაა გამოადებული „სამშვიდობო ძალების“ დროშის ქვეშ ამ დროს კი საქართველოს ხელისუფალთ, პრეზიდენტის ჩათვლით, მშვიდად სძინაუთ და კანონსაწინააღმდეგო გამოთქმას - „სამხრეთ ოსეთს“ - ატრიალებენ თავის ოფიციალურ გამოსვლებსა და ინტერვიუებში; მმართველი გუნდის მხარამ, ცხადია, არა სახელმწიფოს არაოფიციალური იდეოლოგია ამბობს: „რა ეჭვა? უფარვისეტი ვართ, ღაზრები, უნიჭოები, დატაკები სხვა გზა არ გვაქვს, გარდა რუსეთის მორჩილებისა ერთის მხრივ და თურქეთის ბაზარზე ჩვენი ქალების სხეულის გაყიდვისა მეორეს მხრივ, გარდა უფლებებოდ დარჩე-

ნილი ერის უძრავ-მოდრავი ქონების განიავებისა ერთის მხრივ და სახელმწიფო აპარატთან შეზრდილი მონოპოლიური მაფიებისათვის (და მხოლოდ მათთვის) თავისუფალი ასპარეზის მიცემისა მეორეს მხრივ.“

უსწავლელ პროვინციულ მმართველთა ამ იდეოლოგიის წარმატება სხვას ვერაფერს დაემყარება გარდა იმისა, რომ მას ქართველი საზოგადოების კიდევ უფრო დიდი უსწავლელობის - უფრო ზუსტად, მსოფლიოს ძვირი პრესის მიუყვდომლობის გამო მისი არაინფორმირებულობის იმედი აქვს. საბედნიეროდ, ეს იმედი ყოველთვის ვერ მართლდება. ერთი ასეთი ვერგამართლების მაგალითსაც ახლავთ მოგახსენებთ.

სხუთი წელიწადია, საქართველოში იმყოფება ეუთოს (კერძო) უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის) მისია, რომელსაც რადიკალურად ანტიქართული პოზიცია აქვს ცხინვალის კონფლიქტის საკითხში (იგი რეკომენდაციას გვაძლევს, საქართველოში „ოსეთად“ წოდებული ტერიტორიულ-ფორმალური ერთეული შევქმნათ ფართო უფლებამოსილებებით) და, შეიძლება ითქვას, ყრუა ყოველგვარი არგუმენტისაღმძი, რომელთა საწინააღმდეგოდ კონტრარგუმენტები არ მოეპოვება. მისიის პირველი ხელმძღვანელი იყო ბატონი ცვეტკოვი, შემდეგ - ბატონები აიფი და ბოდენი (ორივე - გერმანელი, რაც პირდაპირ ჩემთვის განსაკუთრებით სამწუხაროა, ვინაიდან გერმანია ერთი იმ ქვეყანათაგანია, ვიზუალურ საქართველო ყველაზე მეტად არის და უნდა იყოს ორიენტირებული დემოკრატიულ დასავლეთში). ამჟამად მისიას ხელმძღვანელობს ბატონი დობალი (აგსტრია). როგორც მე მითხრეს, ცხინვალეულ ლტოლვილებთან საუბარში ბატონმა დობალმა განმარტა, რომ ეუთოს მისიის პოზიცია საქართველოს პრეზიდენტის პოზიციის იდენტურია, ხოლო თვით პრეზიდენტმა შევარდნაძემ ერთ-ერთ მორიგ რადიოინტერვიუში თქვა, რომ ოსი სეპარატ-

„სახალხო“ ისევ „აფხაზეთის“ გაუქმებას ითხოვს

საპარლამენტო შრაქშია „სახალხო“ ისევ ხმაველ აპრკალებს სავბარს შრაქშია „აფხაზეთის“ გაუქმების თაობაზე.

როგორც „სახალხო“ თავმჯდომარემ, მამუკა გიორგაძემ გვა-ს კორესპონდენტთან საუბრისას განაცხადა, თავის დროზე „აფხაზეთის“ წევრებს უფლებამოსილება სწორედ „სახალხოელების“ ინიციატივით გაუგრძელდათ ერთადერთი მოტივით - აქტიური მონაწილეობა მიეღოთ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში და მოლაინად ფრაქცია „აფხაზეთი“ ამ საკითხის „ლობსტი“ ყოფილიყო პარ-

ლამენტში. მაგრამ, გიორგაძის თქმით, არათუ აქტიური მონაწილეობა, საერთოდ აფხაზეთის პრობლემით დაინტერესებაც კი არ გამოუმუღავენებიათ ფრაქცია „აფხაზეთის“ წევრებს და ერთადერთი, რაშიც თავი გამოიჩინეს, ყოფილი თანაფრაქციელის - ბორის კაკუბავას ღანძლეა იყო, რაც თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ მათი მხრიდან არ ხდება კონცენტრირება სერიოზული პრობლემების მოგვარებისას.

ამასთან ერთად, გიორგაძის განცხადებით, არის რამდენიმე სერიოზული საკითხი, რომელიც აუცილებელს ხდის ფრაქცია „აფხაზეთის“ გაუქმებას, მათ შორის კი უმთავრესია ის, რომ არ შეიძლება რომელიმე საპარლამენტო ფრაქცია შექმნილი იყოს რეგიონალური ნიშნით.

მამუკა გიორგაძე თვლის, რომ გადასახედია არა მარტო ფრაქცია „აფხაზეთის“, არამედ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთელი მთავრობის ლეგიტიმურობის საკითხიც. (გვა)



სახალხო გვა-რაიოპროკურორის საზოგადოებრივი განცხადება

ბუღაბურში მუშაობა დაიწყო ორდღიანმა სემინარმა თემაზე: „მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობა და მისი საკანონმდებლო რეგულირება.“

პარლამენტის წევრმა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საპარლამენტო ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ, რამაზ საყვარელიძემ სემინარზე წარმოადგინა კანონპროექტი, რომელიც ელექტრონული მასმედიის საქმიანობის კარდინალურ ცვლილებას გულისხმობს. ამ პროექტის თანახმად, არსებული სახელმწიფო ტელერადიო-კორპორაცია საზოგადოებრივ ტელევიზიად უნდა გარდაიქმნას. მითუმეტეს, რომ, მისივე თქმით, დასავლეთ ევროპელი ექსპერტებიც თავის რეკომენდაციებში ამ მოსაზრებებს გამოთქვამენ. (გვა)

ფალსიფიკატორი პროკურატორი

ბასული ფლის ნოემბერში საქართველოს ბაზრებში შემოტანილი პროდუქციის ხარისხის შემოწმებისათვის მთელი რიგი დარღვევები გამოვლინდა. კერძოდ, სამამულო წარმოების ალკოჰოლიან სასმელების ათი ნიმუშიდან ათივე ფალსიფიკირებული იყო, არ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს. უმაღლესი სპრტების ჯამი 45-ჯერ და მეტჯერ მეტი იყო დასაშვებზე.

შემანური დენიების 27 ნიმუშიდან ყველა ფალსიფიკირებულია, მათი ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები საჭირო მოთხოვნებს არ შეესაბამება. ზოგიერთ პროდუქციაში გამოყენებულია არმატიზატორები, რომლებიც საკვებ ესენციებს არ წარმოადგენენ.

ხანძარს ერთი ალკოჰოლი

ბუშინ, დილის 4 საათზე წყალტუბოს რაიონის სოფელ რიონში ხანძრის შედეგად დაიღუპა ამავე სოფლის მცხოვრები. როგორც გვა-ს კორესპონდენტს აცნობეს საქართველოს ხანძარ-საწინააღმდეგო სამსახურის მთავარ სამმართველოში, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი 75 წლის სერგო სულაბერიძე ღუმელზე დაეცა და ძლიერი დამწვრობა მიიღო, რის გამოც გარდაიცვალა.

საით გაზრდინდება უმჯარღუნაპის თვითგზრდინაში

ხელისუფლებაში შევარდნაძე არასდროს შედიოდა. იქ ის შევარდნაძეობდა ხოლმე. საქართველოს პირველ კაცდაც იმ ტაღლას მიჰყვება, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა მათ, ვინც დაუმსახურებელ პატივს იღებდა. შევარდნაძის წინამორბედი მუჟანაძე ოთხი ხელით ხევეტდა ყველაფერს. შევარდნაძემაც ამის შესახებ მოახსენა მაღალმდგომ ამხანაგებს. გარისკა? დიახ! შეიძლება არ დაეჯერებინათ. მაშინ... რა მოხდებოდა? მაგრამ არ მოხდა. მას მოსწონდა გამფლანგელებთან ბრძოლის იდეა. დარწმუნებული იყო, რომ ეს პოპულარობას მოუტანდა. ასეც მოხდა.

70-იან წლებში მოსკოვში მის შესახებ ლეგენდები დადიოდა. ეთქვათ, იმის შესახებ, როცა მან შეაჩერა ყველა ტაქსოვარკიდან მანქანების გასვლა და ქალაქში მაინც ათასობით ტაქსი დადიოდა. ისინი სათითაოდ დაიჭირეს მბმ-ს ხალხმა.


თბილისში ჩასვლამდე ჩემმა ნაცნობებმა გამაფრთხილეს: - საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში არასდროს ყოფილა და ეს ყველაფერი მხოლოდ სპექტაკლია. უმაღლესში მოწყობა აქამდე ფული ღირდა, ახლა კი, რისკის გათვალისწინებით, ორჯერ მეტი ღირს. ყველაფერი ასეა!

შევარდნაძე ყველას უღმობლად ექცეოდა. რუსეთისაკენ მიმავალი მანქანების ქარავნებს აჩერებდა, სპეკულანტების საჩვენებელ სასამართლო პროცესებს აწყობდა და სხვა. თვითონ თუ მაინც სჯეროდა ამ საქმის? ალბათ არა. ის ლაპარაკობდა, ყველას პასუხს სთხოვდა. იმასაც ამბობდა: ჩვენთან მანქანებით ვაჭრობენ. მაგრამ, საიდან მოდის ეს მანქანები. მართალია, საქართველოში ბევრი ფული ტრიალებს, მაგრამ, საიდან ეს ფული? და ამ შეკითხვებით შევარდნაძე თავის თავის დამკვიდრების საქმეს შესანიშნავად ახორციელებდა იმ უფერული პიროვნებების ფონზე, რომელთაც ბელადები ერქვათ.

მას გახელებული ბრბოს შეკავებაც შეეძლო. ისე როგორც 1978 წელს თბილისის სტადიონზე, სადაც შეიძლება დიდი კატასტროფა მომხდარიყო. მასპინძელთა კარში პენალტის დანიშვნა გულ შემატკივართა მოედანზე გადასვლის მიზეზი გახდა.

1978 წლის 14 აპრილს მე აღგზნებული ბრბოს შუაგულში ვიყავი. ახალი ბრეჟნევისეული კონსტიტუცი-

დაიბადა 1928 წლის 25 იანვარს დასავლეთ საქართველოში. დაამთავრა ქუთაისის პლაბოვიჩური ინსტიტუტის ისტორიული ფაკულტეტი. 1957-61 წლებში საქართველოს ალკ ცპ-ს პირველი მდივანი. 1968 წლიდან - შინაგან საქმეთა მინისტრი, 1972 წლის ივლისიდან 1985 წლამდე საქართველოს კომპარტიის ცპ-ს პირველი მდივანი.



ის მიხედვით საქართველოს სახელმწიფო ენად გამოცხადდა რუსული ენა. მე და ჩემი მეგობარი ქართული ინტელიგენციის კოლონაში მივდიოდით, რომელიც მზად იყო მომკვდარიყო, ვიდრე თავისი მშობლიური ენის დაკარგვას შეჰგუებოდა. სიტუაცია კრიტიკული იყო. ყველამ იცოდა, რომ განგაშის სიგნალით მთელი არმია და მილიცია ფეხზე იდგა. დასვებით შესაძლებელი იყო 1956 წლის ტრაგედია განმეორებულიყო.

1978 წელს ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. მთავრობის სახლთან მომიტინგეებს შევარდნაძე გამოეცხადა: „ძმებო, ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გინდათ“.

ასეც მოხდა. საქართველოს კომპარტიის პირველმა მდივანმა მოახერხა მოეთაფლა ბრეჟნევი და ქართული ენა რუსულს გაუთანაბრდა.

ამის შემდეგ შევარდნაძე იწყებს ბრძოლას ფორმალისმთან. მე, „კომსომოლსკაია პრავდის“ მაშინდელ თანამშრომელს მომანდეს გაზეთისათვის მისი სტატია მოემზადებინა. ნაბეჭდ ტექსტში მისი გამოძახილი სჩანდა: „ხომ არ მოიძვრა ფეხი ფორმალისმმა პარტიის მუშაობაში?“ მე მიხლოდა დამემატებინა - კომკავშირის (ეს რეკლუციური ნაბიჯი იყო) მაგრამ ქვეცნობიერად ასე გამომივიდა:

- ნაღმს ამზადებთ არა?
- მეკითხება ედუარდ შე-

ვარდნაძე.

- ჰო, - მხიარულად ვბასუხობ.

- მერედა არ გეშინიათ?

- ააარა

- სწორედ. მეც მეშინია.

და სტატეას ხელი მოვაწერე. ის ხომ ყოველთვის უფსკრულის პირას წონასწორობის დაცვით მოქმედებდა.

იგი ყოველთვის იღებდა პირობებს, რომელსაც დრო კარნახობდა. დრო მოითხოვდა ბრეჟნევის ქებას და ისიც სხვებზე უკეთ აქებდა მას. მაშინ როცა ესმოდა, რომ ყველაფერი დალპა.

სწორედ ამის შესახებ საუბრობდნენ ის და გორბაჩოვი მოსკოვის მახლობელ აგარაკზე ჩერენკოს სიკვდილის შემდეგ.

1978 წლიდან 1985 წლამდე კანდიდატი, 1985-დან 1990 წლამდე სკკპ ცპ პოლიტიბიუროს წევრი. საგარეო საქმეთა მინისტრი.

გორბაჩოვის ეპოქაში შევარდნაძის მომდევნო პოლიტიკური აღმაფრენა მოხდა. იგი გორბაჩოვის უახლოესი თანამებრძოლი გახდა. როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, სასუსებით მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდა. იგი მოუწოდებს ყველას მშვიდობისაკენ, ნდობისა და ახალი აზროვნებისაკენ და ამ პოპულარობას მას ვერაინ ვეღარ წაართმევს.

ის მსოფლიოს უფლიდა გარს, ყველას უმტკიცებდა,

რომ ჩვენ არ ვართ ბოროტების იმპერია - ამბობენ, რომ თავი შეკავებული რეიგანი ცრემლად დაიღვარა, როცა შევარდნაძემ ჰკითხა: ცოლ-შვილი როგორა გყავთო!

- ამდენი ხანი თეთრ სახლში ვარ და აქამდე არავინ დაინტერესებულა ჩემი ოჯახის აე-კარგიოთო, - ჩაუღულღულეობია ამერიკის პრეზიდენტს.

სჯეროდა თუ არა მას სოციალიზმის იდეისა? კიდევაც - ჰო და კიდევაც - არა. გორბაჩოვს ამბობდა შევედური და ავსტრიული მოდელი. მაგრამ შევარდნაძემ შესანიშნავად იცოდა, რომ ამ პერანგის ჩაცმა სსრკ-ზე შეუძლებელი იყო.

1989 წლის აპრილი. თბილისის ტრაგედია. 7 აპრილს მიიღო რა ინფორმაცია მასობრივი მღელვარების შესახებ საქართველოში, გორბაჩოვმა სთხოვა შევარდნაძეს სასწრაფოდ გაფრინდეს საქართველოში. მაგრამ ის მხოლოდ ტრაგედიის შემდეგ გაფრინდება სამშობლოში.

„ჩვენ მათ მიმართ მხოლოდ ერთი მოვალეობა გვაქვს - დავადგინოთ ჭეშმარიტება და სამუდამოდ გამოვიციხოთ ტრაგედიის მოხდენის შესაძლებლობა. ეს აუცილებელია, როგორც ზნეობრივი იმპერატივი“.

მიუხედავად შევარდნაძის დიდი მცდელობისა, ჭეშმარიტების დადგენა არ მოხერხდა. არც დღეს არ იცის არაინ, რა მოხდა მაშინ.

გვერდელი როდინოვის რუსეთის თავდაცვის მინისტრად დანიშვნის შემდეგ შევარდნაძემ ასეთი ფრაზა წარმოთქვა: „გენერლები ბრძანებას ასრულებენ. ასე იყო ავღანეთში. ასე იყო თბილისში. ისტორიის სამსჯავროზე პირველ რიგში ისინი უნდა დადგინდეს, ვინც ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში გადაწყვეტილებებს იღებენ...“

სსრკ პრეზიდენტის ბრძანებით 1991 წელს კ. შევარდნაძე განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

ჩვენ კი დღესაც გვახსოვს სახალხო დეპუტატთა 1990 წლის ყრილობაზე მისი გამოსვლა:

- მე მიხდა გავაკეთო განცხადება: მე ვითხოვ თანამდებობიდან განთავისუფლებას. ნუ მოახდენთ ამაზე რეაგირებას და ნუ განმსჯით. ჩათვალეთ ეს, როგორც ჩემი წვდელი მოსალოდნელი დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლაში. დიდად მაღლივი ვარ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის მიმართ, მისი მეგობარი და თანამებრძოლი ვარ. ყოველთვის მხარს დავუჭერ მის იდეებს. ჩვენ დიდ საქმეებს ვაკეთებდით ერთად, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ეს ნაბიჯი აუცილებელია, როგორც მოქალაქის, ადამი-

ანის მხრიდან. მემკვიდრე მჯერა, რომ დიქტატურას მომავალი არ უწერია... ეს გამოსვლა დროის კიდევ ერთ გამოცანად დარჩება.

1992 წლის 10 მარტს შევარდნაძე საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე გახდა.

საქართველოში კი ამ დროს არეულობა იყო. აჯანყებული კიტოვანი და იოსელიანი პრეზიდენტ გამსახურდიას ჩამოგდების შემდეგ ფაქტიურად სამოქალაქო ომის წამომწყებად მოგვევლინენ.

იგი დაბრუნდა ცეცხლმოკიდებულ ქვეყანაში, ამჯერად ხელისუფლების გარეშე. მთელი ძალაუფლება იმ დროს ორი კანონიერი ქურდის ხელში იყო. კიტოვანისა და იოსელიანისათვის შევარდნაძე პირველ რიგში საჭირო იყო როგორც შირმა, როგორც ადამიანი, ვისი საშუალებითაც შეიძლებოდა დასავლეთის ქვეყნებთან დიალოგი.

1992 წლის აგვისტოში ბედმა შევარდნაძეს მოუმზადა ახალი გამოცდა - ომი აფხაზეთში...

...მე მაშინვე კატეგორიულად ვუბრძანე კიტოვანს, რომ სოხუმში არ შესულიყვნენ. ამავე დროს მქონდა სატელეფონო საუბარი ელცინთან, ის მაშინ სოჭში ისვენებდა. მან მითხრა: „მე ყურადღებით ვაკვირდები სიტუაციას და მე მეჩვენება, რომ აპირებენ თქვენს ჩათრევას სერიოზულ ავანტიურაში. რას აპირებთ?“ მე ვუპასუხე, რომ რალაც საეტეო სუნი ასდის ყველაფერს. აუუხსენი რა უძღოდა წინ ყოველივე ამას, (ჩვენ ხომ მხოლოდ რკინიგზის დაცვა გექონდა გადაწყვეტილი) და რომ ჩემი მითითებები, სამწუხაროდ, არ შესრულდა. რაც შეეხება სოხუმს (ელცინმა მთხოვა), მე მივეცი სიტყვა, რომ ჩემი ჯარები იქ არ შევლენ. ამას მე არ დაუშვებ“. (1996 წლის ინტერვიუდან).

შევარდნაძემ ვერ შეასრულა თავისი სიტყვა. და მას არც შეეძლო მისი შესრულება - მას არ ჰქონდა საამისო ძალაუფლება. ჯარები სოხუმში შევიდნენ და იქ ძარცვა და ყაჩაღობა დაიწყო. არც კიტოვანი და არც იოსელიანი არ აპირებდნენ ბრძანების შესრულებას. შევარდნაძემ ბრძანა ხელახლა აღემართათ აფხაზური დროშა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შენობის თავზე. არც ეს შესრულდა. აფხაზეთის გულისაკენ მათი წინსვლა მხოლოდ აფხაზების თავგანწირულმა ბრძოლამ შეაჩერა და რუსეთის მტკიცე მუქარამ.

ბენადი შავრონგოვი

ბაბრძილა შიშაია ნოზიძე

კარდუ

ანუ ბრიგოლ რობაქიის ცხოვრება და ღვაწლი

აკაკი ბაქრაძე

მიერობანი

ათი წელიწადი მოუწია ბრიგოლ რობაქიძეს საქართველოში ცხოვრება ბოლშევიკურ-კომუნისტური რეჟიმის დროს (1921-1931 წწ.).

რთული და მძიმე წლებია. ყალიბდება იდეოკრატიული სახელმწიფო. ხორციელდება დევიზი: ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია. შუაში ყოფნა შეუძლებელია: ან მტერი ხარ ან - მოყვარე. ვინც მოახერხებს, უცხოეთს აფარებს თავს. ვინც სამშობლოში რჩება, ან წითელი ტერორის მსხვერპლი ხდება, ან კომუნისტურ ხელისუფლებას ეგება ფეხქვეშ. უქმდება სხვადასხვა პარტიები. ერთადერთი პარტია რჩება - ბოლშევიკურ-კომუნისტური. იწყება ღიანგური გაწვევრიანება კომპარტიაში. თუმცა ესეც არ არის შევლა. დღეს რომ მამალი ბოლშევიკ-კომუნისტია, ხედავ ხალხის მტრად ცხადდება და თავი წარკვეთილი აქვს. დღეს რომ ხალხის მტრად არის მიჩნეული, ხედავ კომპარტია გულში იხუტებს და თავზე ბრინჯს აყრის. კომუნისტური წისკილის დოღაბი თანაბრად ფეხავს მტყუნასა და მართალს. ბეწვის ხიდზე უნდა იარო, საკუთარი მე რომ გადაარჩინო და არც ბოლშევიკ-კომუნისტები მოიმდურო.

მაგრამ როგორ გინდა მოახერხო ეს, როცა 77 წლის ეკატერინე გაბაშვილი თვალ-ცრემლიანი შემოგჩივის - სახელ-კარი, მიწა-მამული წამართვეს, ჩემი დიდი ოჯახი შეიღებინან-შეიღიშეიღებინანად ქუჩაში გააგდეს, არსებობის სახსარი აღარ გვაქვს, დედაშვილობას გაფიცვით - მიშველეთ. რით უნდა უშველო. თავად ღარიბ-ღატაკი ხარ. მართალია, სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე გქვია, მაგრამ ხელფასი ასორ-მოცდაათი მანეთი გაქვს. ამით ხმელა პურს თუ იყიდის კაცი. არადა, უყურადღებოდ ვერ დატოვებ. თავი რომ დაანებო იმას, რომ იგი შენი ხანდაზმული კოლეგაა, დედაა შენი უგულვითადესი მეგობრისა. ადრე თვითონ გეხმარებოდა, ხელს გიწყობდა, ახლა უსამშველოდ უჭირს და გულგრილი როგორ დარჩები, თანამდებობითაც რომ გეკავლება დახმარება?

რა უნდა ჰქნა, როცა პოეტი დიმიტრი თომაშვილი (ოყრემიძე) გემუდარება - 31 წელი სახალხო მასწავლებლობას შეეკალიე. ვმწერლობ, ვთარგმნი, ხელფასი - 58 მანეთი - და ჰონორარი ვერაფერს მშველოდა. ოჯახს მიწის დამუშავებით ვარჩენდი. სოფელში, ჭოლეში, 1200 კვ. საუენი ეზო მაქვს. იგია ჩემი და ჩემი ხუთი შვილის არსებობის საფუძველი. ახლა ამ ეზოს კომუნისტები მართავენ. მომეხმარეთ, არ წამართვან, თორემ ოჯახი შიმშილით ამომიწყდება.

პოეტ ვარლამ რუხაძეს ჩამოართვეს ყველაფერი თბილისშია და სოფელშია, პროლეტარული რევოლუციის მომღერალი უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დატოვეს. გაუბედურებულ კაცს სხვა არაფერი დარჩენია, თხოვნა-ვედრების გარდა: მიშველეთ, დამეხმარეთ - დამბრუნონ, რაც წამართვეს.

ხეწნა-მუდარის, თხოვნა-ვედრების ზღვა დგას. რომელ ერთს უნდა უშველო, შეეხიდო, გადაარჩინო? სხვა რა გზაა, ბოლშევიკურ-კომუნისტურ მთავრობას უნდა მიაკ-

ითხო და შემწეობა ევედრო. მაგრამ იგი მაშინვე ცბიერი ღიმილით შეგეკითხება - შენ რომ ჩემთვის რკო არ მოგიტანიაო, ანუ ბოლშევიკურ-კომუნისტური ხელისუფლები-სათვის და მისი საქმიანობი-სათვის ქება არ შეგისხამსო? მაშინ უნდა დაწერო „ბაქო და ჰაიასტანი“ (1931 წ.), სხვა ჩარა არ არის. მართალია, უფრო ისტორიაზე, კულტურაზე, წარმართობაზე, ქრისტიანობაზე, ისლამზე, პეიზაჟზე ილაპარაკებ, ვიდრე კომუნისტურ თანამედროვეობაზე, მაგრამ ძუნწად, თავშეკავებულად მაინც იტყვი: „რევოლუციამ ძირითადად მოსპო ძველი ურთიერთობა.“

„დედუცის“ მაგიერ ბაქოში ეხლა მშრომელია. „შოენის“ მაგიერ - შრომა. სიმდიდრის მოპოვება მუშის ხელშია. იგია მისი გამგე. აქ არის ძირეული სხვაობა. ურთიერთობა შეიცვალა.

გამართულია ქალთა კლუბი. ეს არის უფრედი შემოქმედი. საცა იკვეთება ახერბაიჯანელ ქალთა განთავისუფლება“ (გვ. 6-7).

არქიტექტორ თამანიანის გეგმა რომ განხორციელდება, ერევანი იქნება „ქალაქი - შედევრი: აი რას გრძნობ, როცა დასცქერი ამ გეგმას“ (გვ. 35).

„საბჭოთა ხელისუფლებას ხალხი გადაურჩენია ფიზიკურად. იგივე ხელისუფლება შეძლებას აძლევს ხალხს ფეხზე წამოდგეს და მუხლი მოიმავროს.“

ეს ფაქტი აღიარებული უნდა იქნას პირწმინდათ“ (გვ. 31).

ნივთიერი გასაჭირი ყველას - მუშასა თუ გლეხს, სწავლულსა და ყურფი-ჩორამოხანდეს, ყოფილ არისტოკრატს თუ ბურჟუას - თავში უჩაჩქუნებს.

წიგნის გამოცემა ჭირს. არ იშოვნება ქალაქი, სასტამბო ხელსაწყოები. რაც იბეჭდება, არ იყიდება. ვის რა შვეკვად უნდა წიგნი, როცა შიმშილი ყელში უჭერს. მწერალთა ფედერაციის წიგნის მალაზია გაკოტრდა. ვალი დაედო. მალაზიის გამგეს ალექსანდრე არაბიძეს საციხოდ აქვს საქმე. იგი შეშინებული და გაოცებული საქართველოს. მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმს მიმართავს 1929 წლის 2 ოქტომბერს:

„ფედერაციის წევრებმა იციან, რომ მე არა ვარ ყაჩაღი. 31 წელიწადია მე ვაწარმოებდი კულტურულ-საგამოცემლო მუშაობას და, გარდა ამისა, შემიძლია თამამად ვთქვა: მთელი ჩემი ძალ-ღონე და ქონება შევსწირე არა მარტო კულტურულ მუშაობას,

არამედ საზოგადო და რევოლუციონურსაც. ვაჩქარებ, ში ცხოვრების დროს, სწორეთაში, როდესაც მძინვარებდა რეაქცია, ჩემი ბინა არა თუ იყო რევოლუციონერების თავშესაფარი, აქ იყო საწყობი არაღვადღური ლიტერატურისა, და იყო ბუდე იატაკქვეშ მომუშავეთათვის. ნუთუ ეხლა, მხოლოდ მიტომ, რომ ჩემ მიერ ხელმოკიდებული საქმემ იზარადა, მე უნდა შევიქნე საგანი არა თუ საზოგადო სირცხვილისა, არამედ სისხლის სამართლის მილიციაში თრევისა?..“

ვინ დაგიდევს იმას, წარსულში რა ღვაწლი მიგიძღვის. მთავარია დღეს რა დააშავე. მოქმედებს უღმობელი პრინციპი: წარსულისათვის მადლობა, დღევანდელზე პასუხი აგე. საცოდავი ალექსანდრე არაბიძე რომ გადაარჩინოს, პალოლი იაშვილი მიმართავს განცხადებით მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმს:

„მე ათი წელიწადი ვმუშაობდი მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში სრულდებით უსასყიდლოთ. უკანასკნელ წლებში უმუშევრობის მიზეზით, იმუშავებდი ვიყავი მიმემართა ხოლმე კავშირის მალაზიის გამგე არაბიძესთან სესხისათვის. და სამი წლის განმავლობაში დამედო 2.750 მან. ვალი. როდესაც ამ ვალს ვიღებდი იმედი მქონდა, რომ ნაწილს ჩამითვლიდა კავშირი ჩემი მუშაობის ანგარიშში. ხოლო ნაწილს დაეფარავდი იმ ჰონორარით, რომელიც მერგება სახელგამის მიერ მიღებულ ჩემი ლექსების კრებულში. ფედერაციის პრეზიდიუმმა იცის, რომ ამ ვალიდან მე დიდი ნაწილი მიმიცია ჩვენს მწერლებს-სათვის, რომელნიც ჩემზე უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში იყვნენ.“

ჩემთვის ეხლა აშკარაა, რომ პრეზიდიუმში მე ამ ვალიდან არაფერს არ მომიხსნის, და ამიტომ ვიღებ რა მხედველობაში, რომ მალაზიამ იზარადა, და მალაზიის გამგეს თავზე დაატყდა ვალი, - მე ვცნობ 2.750 მანეთის ვალს და ვეღებ პირობას იგი გაეისტუმრო ნაწილობრივ, სახელდობრ, 150 მან. თვეში. გარდა ამისა, მე გადავცემ პრეზიდიუმს ჩემი ჰონორარის ალგების უფლებას სახელგამიდან, რაც შეადგენს დაახლოებით 800 მან. თუ პრეზიდიუმი მოისურვებს, შემიძლია აგრეთვე მის განკარგულებაში გადავცე სომეხი პოეტების ქართულად ნათარგმნი ანტოლოგია, რომლის ჰონორარი ჩემის ფიქრით შეადგენს რამდენიმე ას მანეთს.

ვალის გასტუმრების საგარანტიოდ ვთხოვ პრეზიდიუმს აიღოს აღმასრულებელი ფურცელი ჩემის ბინის ავეჯზე, რომლის საფასური დაახლოებით დაჰფარავს 2.750 მანეთს.“

ყველა ასეთ დღეშია: ან ციხე ან სრული სილატაკე.

გაბრძნობა უნდაა ნომადი



სამართლიანი საყვიღური

ნახ. შარაზის

ბრიგოლ რობაქიძე თავის წერალებში: „ბოლშევიკური დღეები“ („საბჭოთა“ № 11 8-9, 10), ლაპარაკობს მხოლოდ თავისთავზე და სტ. ცვაჯზე.

ბოლშევიკი (რობაქიძე): — შე კაი კაცო, ერთხელ მაინც გეხსენებ, ვა ჩემი სახელი!



საქართველოს ელექციების ადმინისტრაცია

გარეგანი სარეკლამოო განცხადება

არ შეიძლება ადამიანის გასამართლება სამართლიან დოკუმენტისა...

გასული წლის 23 აგვისტოს გამართულ მიტინგზე შეკრებილი პრეზიდენტის დირექტორის შერაცხველი...

ამ დღისათვის მკვეთრად და სამართლიანად იყო შეფასებული შეფარდების პოლიტიკა...

„ზვიად განმათავისუფლებლის“ პარტიის ლიდერი დარწმუნებულია...

„ეროვნული სამართლიანობისათვის ჭეშმარიტ მებრძოლებს შემდგომში ასამართლებენ ინსინუაციური, შეთითხნილი ბრალდებებით“...

ზვიად განმათავისუფლებლის საქართველოს ელექციების ადმინისტრაციის წინააღმდეგ

საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება „პრეზიდენტი მაგვიდა“...

„პრეზიდენტი მაგვიდა“ - თავისუფალი საქართველო - ს სპიკერმა თეიმურაზ ლომიძემ 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალებას...

„პრეზიდენტი მაგვიდა“ - თავისუფალი საქართველო - ს სპიკერმა თეიმურაზ ლომიძემ 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალებას...

ადინწუნული ორგანიზაცია კვლავაც კატეგორიულად მოითხოვს, მიეცეს სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალებას...

ადინწუნული ორგანიზაცია კვლავაც კატეგორიულად მოითხოვს, მიეცეს სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალებას...

მშრომელთა სამართლებრივი «ოსეთის» შემქმნას არ მოიტხოვს! ნოდარ ნათაძე

მკვლევარ გვერდიდან

რაოდენობის სუვერენულ სახელმწიფოებად და სუვერენულ სახელმწიფოთა ეს რაოდენობა ჩვენი სიცოცხლის მანძილზე მკვეთრად გაიზარდა, ჯერ ერთი, დეკოლონიზაციის პროცესის წყალობით, მეორეც, ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ევროპაში მომხდარი ცვლილებების წყალობით...

ამგვარად, საერთაშორისო პერსპექტივიდან თუ გაეხედავთ, თანამედროვე განვითარება მსოფლიო წესრიგისაკენ დამყარებულია გაერთიანებული ერების ქარტიის, თავის მხრივ, აგებულია საერთაშორისო სისტემის ისეთი სტრუქტურის კონცეფციაზე...

ამ საერთაშორისო წესრიგში, რომლის გაშლაც ამჟამად ხდება, არის ერთგვარი ძაბვა (დაპირისპირება) ტერიტორიულ და კულტურულ სფეროს შორის...

ამ საერთაშორისო წესრიგში, რომლის გაშლაც ამჟამად ხდება, არის ერთგვარი ძაბვა (დაპირისპირება) ტერიტორიულ და კულტურულ სფეროს შორის...

„ზრუნველყოფილ იქნას თანასწორობა საერთო დანტერესების სფეროში. მაგრამ ამან შესაძლოა წარმოშვას პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა ჯგუფთა კულტურული თავისთავადობის (კულტურული იდენტობის) დაცვის ამოცანასთან...“



ბაა ერთ-ერთ სახელმწიფოში და უმცირესობაა ერთ ან რამდენიმე სხვა სახელმწიფოში, როგორც არიან რუსები, უნგრელები, ალბანელები და II მსოფლიო ომამდე იყვნენ გერმანელები...

„როგი მიზეზების გამო ზოგჯერ სასურველად მიაჩნია, პოინდეს ხელთ ტერიტორიული კონტროლი, რათა ამით უზრუნველყოთ თავისი კულტურული და მატერიალური მომავალი...“

„როგორც არ უნდა იყოს მიზეზები, ტერიტორიული კონტროლის მიპოვებისაკენ სწრაფვა იწვევს ზოგჯერ მწვავე ეთნო-ტერიტორიულ კონფლიქტებს, გამოყოფის გენდერულ მოძრაობებითა და „მონათესავე“ სახელმწიფოთა დან შენიღბული ჩარევით...“

„სახელმწიფოებს შორის, მთელი მსოფლიოს მსახელობის სხვადასხვა ეთნიკური საგუთვე რასიული, რელიგიური ჯგუფების შიშს ერთმანეთის დემოგრაფიული კეთილდღეობის წინაშე და, მასადაამე, ამ დემოგრაფიული წარმატების აღკვეთის, ანუ ეთნიკური წმენდისა და გენოციდის ცდუნებას...“

ტერიტორიების განაწილება არ ემთხვევა და ვერ დაემთხვევა კულტურულ გაყოფებს. წარსულში მომხდარ და არსებულ გაყოფათა უმრავლესობა არ ყოფილა დამყარებული ეთნიკურ საფუძველზე...

„არ იყო შემზარავი ადამიანური ტრაგედია, ამავე მიზნისკენ მიმართულმა შემდგომმა მცდელობებმა, - ისეთმა, როგორც ენახეთ ყოფილი იუგოსლავიაში, - კვლავ ამ ბარბაროსული პოლიტიკის შედეგი გვიჩვენა...“

„როგორც ჩანს, არატერიტორიული კულტურული აქტონომიის რაღაცა ხარისხი, როგორც პრევენციული ზომა, უფრო პუმანური მიდგომაა ამოცანისადმი (ხაზი ჩემია ნ.ნ.). ამ მიდგომას ძალუძს, შეიროგოს იმ შემკვიდრებით მიღებულ საზღვართა დაცვის მოთხოვნის და საჭიროება, რომელშიც რამდენიმე ეთნიკური ჯგუფი ერთობლივად ცხოვრობს...“

შიც ყველას თანასწორად მოეწოდება ხელი წარმატებაზე, რომელშიც ყველას ესმის ერთმანეთისა და ამასთანავე ესმის კანონებიცა და აღმინისტრაციული აქტივიც, რომელთაც თავისი მოქმედება უნდა შეუწყოს“.

კომენტარი, მე მგონი, ზედმეტია. დავსძენ, რომ გარდა ასეთი ნორმის არარსებობისა (რომ ადგილობრივ უმრავლესობას ტერიტორიული ავტონომია მიეცეს) საქართველოს პრეზიდენტს სხვა, აბსოლუტურად შეუვალი ანუ მოუგერიებელი არგუმენტიც აქვს ხელთ (რაკიდა ეს არგუმენტი მოძებნილია და არაერთხელა გამოქვეყნებული ქართულ პრესაში, თუკი ზემოხსენებული ხელყოფისაგან ჩვენი ქვეყნის დაცვა უნდა...“

პოლიტიკური ერთეულის შექმნის და მისთვის „ოსეთის“ დარწმუნების ანტისახელმწიფოებრივი გეგმისა, არსებობს ალტერნატიული გეგმა და იგიც არაერთხელ გამოქვეყნებული გახლავთ უკვე. ესაა საქართველოს ოსი მოსახლეობის (ისევე, როგორც ყველა სხვა არატერიტორიული მოსახლეობის) უფართოესი ფუნქციური ავტონომიის (დასავლეთის ლიტერატურაში მას უწოდებენ აგრეთვე კომუნალურ ანუ თემურ ავტონომიას) შექმნის გეგმა, როცა ყველა ერთვულ უმცირესობას, თუკი უნდა, შეუძლია შექმნას თავისი სათვითობო ორგანიზაცია (ტერიტორიასთან დაკავშირების გარეშე) და მას რაგინდარა კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ფუნქციები დააკისროს...“

დამატებით მინდა შევნიშნო, რომ დიდი ილუზიაა, თუ ეისმე პგონია, რომ დღევანდელ ანტი-ეროვნულ და ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკაზე შიდა ქართლში - სახელმწიფოს მტრების დაუსჯევლობაზე, ქართველი მოსახლეობის აქტიური მებრძოლი ნაწილის მასობრივ რეპრესირებაზე უკანონო მეთოდებით, კანონსაწინააღმდეგო სუპრატრასტული ტერმინოლოგიის ოფიციალურ ხმარებაზე, რუსეთის შეიარაღებული ძალებისთვის და რუსეთის შეიარაღებული მოქალაქეებისათვის ასპარეზის მიცემაზე და ა.შ. - პასუხისმგებელია მხოლოდ პრეზიდენტი. მასზე პასუხისმგებელია მმართველი გუნდის მთელი ის ნაწილი, რომელსაც ამ პროცესებთან შეხება აქვს, და, აღბათ, რეალისტური პროგნოზი იქნება, თუ ვიტყვი, რომ ამ პირებს პასუხისმგება რეალურად მოუწევთ. იმედი გვაქვს, რომ ყველაზე არსებით საერთაშორისო ნორმატიულ დოკუმენტებს უმცირესობათა უფლებების შესახებ ახლო ხანებში მიუყვლინებთ სათანადო ანალიზითურთ „საქართველოს“ მკითხველებს.

გალაკტიონ ტაბიძის უცნობი- ნაცნობი სალაღობო ლექსები

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი
მე ვიქვიფებ ღამიერაზე,
შენ მოკვდი სახელოვანი.

ბრმას რად უნდა მუხეუფში გაქვანა,
პრუს რად უნდა ოკეპაში გაქვანა,
ლორს რად უნდა ოქროს ტახტზედ აქვანა,
ვირს რად უნდა დეკორატად გაქვანა.

როცა ქვეყანას კაცი აკლია
ბრიყავი ის არის რაც ირაკლია.

ამიერიდან ვენერას
უნდა ღაქვანა ვერანა,
მერანი ვირად აქცი
და ვირი გაამერანა.

თანაფეროვნი ქართული პროზის შესახებ
ჩვენს ჩამორჩენილ პროზას
თუ გამოვკვლივთ „ოჯას“
ღარჩება მხოლოდ პრ და
წუნიც მივუერთოთ უნდა,
თუ დავუშვებთ პრ-ს წუნი
მივიღებთ მართლაც პროწუნი.

რეტი, ცეტი, ბრეტი, ცეტი
პი, ბესოს ეტიკეტი
რას გააწყობ უღენტი, უღენტი
ფუტურა დეკადენტი,
თანაც ყველი მებისმეტი
პი, ბესარიონ უღენტი.
(მაგრამ რას ვერჩი ამ კაცს?)

ეს ჩვენი მამასახლისი
გალაღობა ხედავითა,
პრისტავი რომ დანიბარებს
მაშინ წავა თხელსავითა!

რაკი დაბვისვს
წინ მილია,
ხელში ავიღოთ
ბინძილია.

ლიანა მისწერე
დედაშენ ეკას,
რომ თავდადებით
მსახურობ ჩეკას...


არა, არ ვტირი მოსანო,
შენ არ ხარ როგორც მკვლარი
შენ არ ბიტირო, ცოცხალი -
ცოტა მყავს სატირალიო?

თუნდაც მზიერი კოეზი
თუნდაც ტიტველი
მინც იმარჯვებს, თუ ის არის
მოუხილველი.

სამღეს და საძაღეს
მწერალთა სასახლეს
ვერასდროს დაღლილი
ვერ მიუყრდნობი...
ამ არის მოღებული
გაბორბლებული
მგრეთწოდებული
ბერიას კულები.

ღეჯეას მიგზავნის გავითა


ერთი დღით ჩამოდიოთ აფხაზეთშია
ო, საქმე საქმარო რამ თუა
ამ, წიგნებს რა ვუყუოთ ან გაზეთს?
ამ ავტორს პრობლემა ჩიხს ხვდება
კრებული „სამოგლო“ წელი მხრის
რა ვუქნა მერვე ტომს ფერხდება...



გაყინულ წერტილით არ იძვრის,
რუსულად წიგნსა სემეს „ზარია“
არ იქნა თავი ვერ მივბა
იქ მუღამ გლოვა და ზარია
ანბრეულ, აყრილი ღრევა.
„მნათობი“ რა საქმეს მივირებს
ამასაც ხომ მალე გავიგებ
მიხვდება ირაკლი, იტირებს
რომ ვწვდები და ფეხვეუ გავიგებ!
„ივანესტიას“ რომ წერილს დავვირდი
მაჩქარებს, რა ვუყო ამ გაზეთს
და ახლა დეკავა... რას იცდი,
საჩქაროდ ჩამოდი აფხაზეთს.
ეჰ, დეკავა...
ასე რომ მწვავლებ
კანონის რომელი მუხლია?
დავტოვებ ამ თბილისს,
სულ წავალ
და ყველას თავში ქვა უხლია!

მოაფხადა გუგუზ მებრალიქა

მწერლები ხუმრობენ



მოღის ბესარიონ უღენ-
ტი. პირისაზე ხომ თავისთა-
ვად თეთრი აქვს, ყვე-
ლაფერი თეთრი აცვია.
კონსტანტინე გამსახურდი-
ამ მიამბა:

- ბესო, უავი ავტოკალ-
ამი მინც ჩაიღე გულის
ჯიბეში, თორემ ჰაერივით
ხარ ახლა.

კონსტანტინეს არ მოე-
წონა ბესოს რაღაც ნათქ-
ვანი და მიამბა:

- ბესო, უენ უნივერსი-
ლის კარს ჰგავხარ, საითაც
ხელს გკრავენ, იქით შეიღ-
ებო.

კონსტანტინე გამსახურ-
დია შევიდა ერთგან და
იკითხა: ამ რა დავსებულე-
ბაო?

- ეს ახლად დაარსებუ-
ლი შურნალის „საბგოთა
სამართლის“ რედაქციაო, -
მიუბნა.

ბაიციანა, როგორც სჩვე-
ოდა ხოლმე: საბგოთა ქვეყ-
ანას სამართალი არ გააჩ-
ნია და მართო შურნალის
დაარსება ეყოფაო!

კარლო

კალაპე გამოცემილოვა
„მერანის“ დირექტორი
იყო, მის კაბინეტში
თავისი წიგნის გამოცე-
მის თაობაზე შევიდა
ჯერ დეკავა სილოვან
ნარიანიძე, მერე ასევე
დეკავა, კალგულოვანი
ლალო მრედაფილი.
დაფრთხალა ორივეს
შეუსრულა თხზვა გო-
ლოს შევიდა ტანდაბა-
ლი, ჩია, სოლომონ დე-
მურხანაფილი. კარლოს
ფართო პირისაზე ღი-
მილით გაეგადრა და
გახარებულმა წამოიბა-
ხა: ა, კაცო, მწერალი
ამაზე დიდი არ უნდა
გაიხაროსო.

„მერანის“ დირექ-
ტორს კარლო კალაპეს
ერთმა კოეზმა უჩივლა
თავისი წიგნის თაობა-
ზე. მაშინ „მერანს“
იურისკონსულტად ემ-
სახურებოდა საზღვარგარეთიდან დაბრუნებული გენერალი მაღლაკელიძე, კარ-
ლო მაღლაკელიძეს დაავალა: რაღაც არ უნდა დაგიჯდეს, ეს საქმე უნდა
მომავბინო. იურისკონსულტი დაიკრდა მებრამ კარლოსთან პრელოაში მარ-
თალ კოეზს გაამარჯვებინა. კარლომ თავი სინანულით გადააქინა: შეცდომა
დავუფიქრი. ამ კაცის ნდობა როგორ შეიძლება, ორ გუმბაზს დიქტატორს -
ჰიტლერსა და სტალინს ატყუებდა და მე რა ხერხს დამეჩრდაო.

კარლო თავის თავსაც დასცინოდა ხოლმე: საქართველოში ყველაზე მსხ-
ვილი კოეზი მე ვარო.
ორმოცდაათიან წლებში შურნალ „ნიანის“ მაშინდელმა რედაქტორმა კარლო
კალაპემ გაბრაში სახლის აშენება გადაწყვიტა და მიმართა ინჟინერ გვამათას.
მან კი განუცხადა: ყველა მასალა მომიტანე და აშენებში მაშინ დაგეხმარე-
ბო. კარლომ ღეშხად უთხრა:

თუ ყველაფერი მოვიცი, დე-
ციმენტი, მვირა, ქვა თუა,
სახლს მე თვითონვე ავაგებ,
რა ოხრად მიდებ გვამათას!



